ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №82-58

2021 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

**„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების წესებში (შემდგომში – წესები) (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესების:

**ა) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) **რზ-1** – დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა. ასევე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა.“

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები | | | |
|---|---|---|---|
| კ-1 | | 0,2 | კოეფიციენტი |
| კ-2 | | – | კოეფიციენტი |
| კ-3 | | 0,8 | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | | – | ერთეული/ჰა |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | - | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | - | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | - | მეტრი |
| შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | 5 | მეტრი |

**ბ) დანართი №1-ის:**

**ზ.ა) მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას:

· ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;

· სასტუმრო;

· ატრაქციონი;

· სამაყურებლო ობიექტი (ესტრადა, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზი, ღია და გადახურული

კინოთეატრი);

· სპორტული შენობა-ნაგებობა (სტადიონი, სათამაშო მოედანი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული

საცურაო აუზები);

· სათამაშო ავტომატების დარბაზი, საბილიარდო, კაზინო და ა.შ.;

·ზოოპარკი;

· კაფე, რესტორანი;

· სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზებული (სახელოვნებო, შშმპ და სპორტული) დაწესებულებები;

· ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები);

· საკულტო შენობები და ნაგებობები;

· ავტოსადგომი;

· ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზა."

**ზ.ბ) მე-9 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას:

· სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი;

· სამაყურებლო ობიექტი (ესტრადა, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზი, კინოთეატრი);

· მოხუცთა, ბავშვთა და სხვათა ინტერნატი;

· საავადმყოფო;

· პოლიკლინიკა;

· ამბულატორია;

· სპორტული შენობა-ნაგებობა (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი,

ღია და დახურული საცურაო აუზები);

· ატრაქციონი;

· კაფე, რესტორანი;

· ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სახელოსნოები, გარაჟები დასაწყობები).

· ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზა.“.

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე | გიორგი ტყემალაძე |